

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გორის უნივერსიტეტი

თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

2010 წლის 28 სექტემბრის „საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საარჩევნო სამართლის დარგში სასწავლო პროგრამის განხორციელების შესახებ"

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის დანართი

2 დეკემბერი 2010 წელი

თბილისი

ჩვენ, ქვემორე ხელმომწერი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უფლებამოსილი წარმომადგენლები, ვიზიარებთ რა 2010 წლის 28 სექტემბერს ქ. თბილისში ხელმოწერილი ,,საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საარჩევნო სამართლის დარგში სასწავლო პროგრამის განხორციელების შესახებ" ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით განსაზღვრულ პრინციპებს, ვაცხადებთ საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრთან თანამშრომლობის სურვილს მემორანდუმით გათვალისწინებული ღონისძიებების ერთობლივი ძალისხმევით განსახორციელებლად და ჩვენი ხელმოწერებით ვუერთდებით ამ დოკუმენტს.

წინამდებარე დანართი წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი

_____ *ალიოშა გაკურიძე*

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

_____ *გიორგი ღავთაძე*

გორის უნივერსიტეტი

_____ *გიორგი სოსიაშვილი*

თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

_____ *დავით მახაშვილი*

ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

_____ *თინა გელაშვილი*

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

_____ *თეონა ხუფენია*

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს

და

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს,
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს,
ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს,
გორის სასწავლო უნივერსიტეტს,
შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს

შორის

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) *ნდობის გაზრდა საარჩევნო პროცესებისადმი* (ITEP) პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში (შემდგომში "IFES საქართველო") და შემდეგი უნივერსიტეტები: საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერისტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში "უნივერსიტეტები"), ვიღებთ ვალდებულებას, ხელი შევუწყოთ სტუდენტებისათვის საგანმანათლებლო სფეროში შესაძლებლობების განვითარებას, მათი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ზრდისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უზრუნველყოფით. შესაბამისად, მხარეები ხელს ვაწერთ წინამდებარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს (მემორანდუმს), რათა გამოვხატოთ საკუთარი ნება და განზრახვა, ხელი შევუწყოთ უნივერსიტეტებში სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და სამოქალაქო მონაწილეობის პროგრამების განვითარებას.

1. ერთობლივი საქმიანობის საგანი

ა) მემორანდუმის პირობების თანახმად, პროგრამა ITEP და უნივერსიტეტები ითანამშრომლებენ სამოქალაქო განათლების სასწავლო პროგრამების დანერგვის, მონიტორინგისა და შეფასების სფეროში USAID-ის მიერ დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს IFES საქართველო.

ბ) თანამშრომლობის მიზანია საქართველოში განათლების სფეროს განვითარების ხელშეწყობა სამოქალაქო განათლების კურსის – "დემოკრატია და მოქალაქეობა" –

დანერგვის გზით, ასევე – მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის გაუმჯობესება.

2. USAID-ის განზრახულობები ITEP-ის ფარგლებში

ა) უნივერსიტეტების წარმომადგენლებს გაუწიოს დახმარება შემდეგი საქმიანობის განხორციელებით:

- რვა უნივერსიტეტს წარუდგინოს საუნივერსიტეტო კურსი "დემოკრატია და მოქალაქეობა" და შესთავაზოს მისი დანერგვა არჩევითი ან სავალდებულო საგნის სახით;
- უზრუნველყოს უნივერსიტეტები კურსის საკითხავი მასალით "დემოკრატია და მოქალაქეობა", ქართულ და ინგლისურ ენებზე, საჭიროების შესაბამისად;
- შეიმუშაოს სახელმძღვანელო პროფესორ-მასწავლებლებისათვის და მიაწოდოს მათ კურსის სწავლებისათვის საჭირო დამატებითი საკითხავი მასალა;
- დააკვირდეს და შეაფასოს კურსის განხორციელება;
- უზრუნველყოს ტრენინგები პროფესორ-მასწავლებლებისათვის, მეთოდოლოგიური ლიტერატურა და სხვა საჭირო ინფორმაცია, რაც საგნის ეფექტიანად სწავლებისათვის არის აუცილებელი.

ბ) კურსის განხორციელების ეფექტიანობის შეფასებისათვის გამოიყენოს IFES საქართველოს მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია.

გ) შეიმუშაოს სამოქალაქო განათლების დამატებითი პროექტები, მათ შორის, სტუდენტური თვითმმართველობების განვითარების ხელშეწყობა, საჭიროების შესაბამისად.

დ) დაეხმაროს უნივერსიტეტებს სამოქალაქო განათლების კურსის პოპულარიზაციაში.

ე) უზრუნველყოს უნივერსიტეტების ინფორმირება სამოქალაქო განათლების სფეროში IFES საქართველოს მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ.

ვ) უზრუნველყოს უნივერსიტეტების მოთხოვნის საფუძველზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სამოქალაქო განათლების სფეროში საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებასთან დაკავშირებით.

3. უნივერსიტეტების ვალდებულებები

ა) კურსის დანერგვა ქართველი და ამერიკელი ექსპერტების მიერ შემუშავებული და IFES საქართველოს მიერ შეთავაზებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ბ) უნივერსიტეტში კრედიტის მოსაპოვებლად კურსის შეთავაზება და მისი აქტიური პოპულარიზაცია ყველა ფაკულტეტის სტუდენტებს შორის.

გ) IFES საქართველოს წარმომადგენლებისა და კონსულტანტების დახმარება უნივერსიტეტის თანამშრომლებთან, პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებთან სათანადო ურთიერთობების ჩამოყალიბებაში.

დ) იმ პროფესორ-მასწავლებელთა შერჩევა, ვინც წარმართავს და დანერგავს კურსს უნივერსიტეტებში; ტრენინგებსა და IFES საქართველოს მიერ კურსის ეფექტიანად დანერგვის მიზნით განხორციელებულ სხვა ღონისძიებებში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა.

ე) IFES საქართველოს ინფორმირება კურსის "დემოკრატია და მოქალაქეობა" დანერგვის გეგმებთან დაკავშირებით.

ვ) კურსის განხორციელების შეფასება IFES საქართველოს მიერ შეთავაზებული მეთოდოლოგიით.

ზ) IFES საქართველოსთან თანამშრომლობა რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების გამოყენებით სტუდენტთა ცოდნასა და მოტივაციაზე კურსის რეალური გავლენის შეფასების პროცესში.

4. სტანდარტული პირობები

ა) მხარეები ინარჩუნებენ თავიანთ განსაკუთრებულ მისიებსა და მანდატებს და საკუთარ ანგარიშვალდებულებას. მხარეებს შორის თანამშრომლობა, რაც ასახულია წინამდებარე მემორანდუმში, არ განიხილება, როგორც ვალდებულებები წარმოშობილი იურიდიულ პირებს ან სხვა ორგანიზაციებს შორის. წინამდებარე მემორანდუმის არც ერთი პირობა არ განიხილება, როგორც სხვა შეთანხმებების ან ხელშეკრულებების ნაწილი და არ ცვლის მათ პირობებს არც ამ მემორანდუმის ხელმოწერამდე და არც ხელმოწერის შემდეგ.

ბ) თითოეული მხარე აგებს პასუხს იმ ხარჯებისათვის, რომლებიც წარმოიშობა იმ საქმიანობების განხორციელებისას, რაც გათვალისწინებულია წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული პროგრამებით. ყველა ასეთი დანახარჯის და საქმიანობის განხორციელება დამოკიდებულია თითოეული მხარის გამგებლობაში არსებულ დაფინანსებაზე. მხარეები აცნობიერებენ, რომ წინამდებარე მემორანდუმი არ წარმოშობს სხვა სახის ფინანსურ ვალდებულებებს, ასევე სამართლებრივი შედეგის მქონე ვალდებულებებს ან სხვა უფლებებსა და მოვალეობებს მესამე პირების წინაშე.

გ) საჭიროების შემთხვევაში, წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ ორივე მხარის წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

დ) წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელება დაიწყება ამ მემორანდუმის ხელმოწერის დღეს. წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერიდან ერთი წლის განმავლობაში და მისი მოქმედება შესაძლებელია ავტომატურად გაგრძელდეს დამატებით ერთი წლით, თუ ერთი მხარე მეორე მხარეს წერილობით არ შეატყობინებს, რომ სურს შეთანხმებიდან გასვლა. მხარეებს უფლება აქვთ, მოშალონ წინამდებარე მემორანდუმი ნებისმიერ დროს, იმ პირობით, რომ მხარეს სამი თვით ადრე წერილობით შეატყობინებენ ამ მემორანდუმიდან გასვლის შესახებ.

ე) წინამდებარე მემორანდუმი არ წარმოადგენს საერთაშორისო შეთანხმებას ან ხელშეკრულებას და არ წარმოშობს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ რაიმე სახის უფლებებსა და მოვალეობებს.

ვ) მიმართება ორმხრივ ჩარჩო ხელშეკრულებასთან: მხარეები აცნობიერებენ, რომ საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება, მომსახურების გაწევა, ტექნიკური დახმარება და ტრენინგი, განხორციელებელი წინამდებარე მემორანდუმის პირობების შესაბამისად, განიხილება როგორც შეერთებული შტატების დახმარება "საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის ჰუმანიტარული და ტექნიკური ეკონომიკური დახმარების ხელშეწყობისათვის თანამშრომლობის თაობაზე" საქართველოს პარლამენტის მიერ 1996 წლის 11 დეკემბრის №525 დადგენილებით რატიფიცირებული ხელშეკრულების ფარგლებში და მისი პირობების შესაბამისად, რაც ასევე ვრცელდება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებებისაგან გათავისუფლებაზე.

ზ) მემორანდუმის მოქმედების ვადა და ძალაში შესვლა: წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და უნდა განხორციელდეს 2013 წლის 28 ივნისამდე.

ე) IFES საქართველოს მიერ წინამდებარე მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება დამოკიდებულია დონორი ორგანიზაციების, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო, უწყვეტ ფინანსურ მხარდაჭერაზე. აღნიშნული მხარდაჭერის შესახებ გადაწყვეტილებებს იღებენ მხოლოდ დონორი ორგანიზაციები, რომლებსაც არ ეკისრებათ სამართლებრივი ვალდებულები წინამდებარე მემორანდუმით.

ზ) მემორანდუმი ხელმოწერილია 2012 წლის 28 ივნისს. დოკუმენტი შედგენილია 18 თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად (ცხრა ქართულ და ცხრა ინგლისურ ენებზე), რომელთაგან თითო ქართული და თითო ინგლისური ეგზემპლარი ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

თ) ორ ენაზე შედგენილ დოკუმენტებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება მემორანდუმის ინგლისურ ტექსტს.

USAID/კავკასია

იოაკიმ პარკერი, მისიის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

გიორგი მარგველაშვილი, რექტორი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თინათინ ჯავახიშვილი, რექტორი

ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

თინა გელაშვილი, რექტორი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი ღავთაძე, რექტორი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჯონი აფაქიძე, რექტორი

გორის სასწავლო უნივერსიტეტი

გიორგი სოსიაშვილი, რექტორი

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერისტეტი

ზაალ ქორთუა, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მურმან გორგოშაძე, იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის უფროსი

ადასტურებს:

საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში (IFES)

ნერმინ ნიშიჩი
პროგრამის ხელმძღვანელი

Memorandum of Understanding

between

the United States Agency for International Development

and

Georgian Institute of Public Affairs
Iakob Gogebashvili Telavi State University
Akhaltsikhe State Teaching University
Akaki Tsereteli State University
Sokhumi State University
Gori Teaching University
Shota Meskhia Zugdidi State Teaching University
Batumi Shota Rustaveli State University

The United States Agency for International Development (USAID), through its *Increased Trust in the Electoral Process* (ITEP) program implemented by the International Foundation for Electoral Systems' representative office in Georgia ("IFES Georgia") and the following universities: Georgian Institute of Public Affairs, Iakob Gogebashvili Telavi State University, Akhaltsikhe State Teaching University, Akaki Tsereteli State University, Sokhumi State University, Gori Teaching University, Shota Meskhia Zugdidi State Teaching University ("Universities"), share a commitment to educational offerings for university students which emphasize civic responsibility and participation. Accordingly, the participants sign this Memorandum of Understanding (MOU) to set for their understandings and intentions regarding the development of civic responsibility and participation programs in the Universities.

1. Subject of Joint Activity

A. Pursuant to the terms of this MOU, ITEP and the Universities intend to cooperate in the area of implementation, monitoring and evaluation of civic education programs, conducted under the USAID-funded ITEP project, implemented by IFES.

B. The objective of this cooperation is to assist in the promotion of education development in Georgia through a civic education course "Democracy and Citizenship" and activities designed to improve instruction and information on civic responsibility and participation in Georgia's public life.

2. Intentions of USAID through ITEP

A. To advise and assist the representatives of Universities by:

- Introducing the course "Democracy and Citizenship" among the eight Universities as a regular university course (elective or mandatory).
- Providing universities with civic education student course reader "Democracy and Citizenship" in Georgian and English languages, as needed.
- Developing teachers' manual and additional reading materials for use in the course.

- Monitoring and evaluating the implementation of the course. Providing professors/lecturers with training, necessary course instructional and methodological materials, and other information necessary to successfully instruct the subject matter through training seminars, conferences and meetings.

B. To evaluate the implementation and effectiveness of the course according to methodology developed by IFES Georgia.

C. To develop additional civic education projects, including supporting student self-governments, as needed.

D. To assist the Universities in promoting the civics course.

E. To inform the Universities about projects conducted by IFES Georgia in the area of civic education.

F. To provide the Universities with access to information about international civic education practices, upon request.

3. Responsibilities of the Universities

A. To deliver the course according to methodology designed by Georgian and American experts and suggested by IFES Georgia.

B. To offer the course for credits within the university and actively market it among students across all faculties.

C. To assist IFES Georgia staff and consultants to establish necessary relationships and contacts with relevant staff, professors, and student self-government representatives.

D. To assign professors/lecturers who will conduct and implement the course at the Universities and ensure that the assigned professors/lecturers attend training/workshops and other activities organized by IFES Georgia for effective implementation of the course.

E. To inform IFES Georgia of plans for course implementation.

F. To evaluate the course according to methodology suggested by IFES Georgia.

G. To work with IFES Georgia to measure impact through quantitative and qualitative means to assess real impact on student knowledge and motivation.

4. Standard Provisions

A. The Participants intend to maintain their own separate and unique missions and mandates, and their own accountabilities. The cooperation between the Participants as outlined in this MOU is not to be considered or construed as a partnership or other type of legal entity or personality. Nothing in this MOU should be construed as superseding or interfering in any way with agreements or contracts entered into between the Participants, either prior to or subsequent to the signing of this MOU.

B. Each Participant is to be fully responsible for expenses it incurs related to activities conducted in connection with the programs described herein, and all such expenses and activities are subject to the availability of funds to each Participant. The Participants acknowledge that this MOU does not constitute or effect either an expenditure or an obligation of funds, nor does it constitute a legally binding commitment by either Participant or create any rights in any third party.

C. Additions and/or modifications may be introduced into or appended to this MOU as needed, upon the written mutual consent of the Participants.

D. Activities under this MOU are to commence upon the date of signature and continue for one (1) year and may be automatically extended for one (1) additional year unless a Participant notifies the other Participant in writing of its desire to discontinue this MOU. The Participants may discontinue cooperation under this MOU at any time, and intend to endeavor to provide the other Participant with three (3) months' written notice before such discontinuation.

E. This MOU is not an international agreement and does not create any rights or responsibilities under international law.

F. Relation to Framework Bilateral Agreement: the Participants understand that in-kind assistance, technical assistance and training that may be furnished by USAID pursuant to this MOU is considered United States assistance within the scope of the Agreement between the United States of America and the Government of the Republic of Georgia Regarding Cooperation to Facilitate Humanitarian and Technical Economic Assistance, signed July 31, 1992, and ratified by Parliamentary Decree #525 on December 11, 1996, and is subject to the terms and conditions of that agreement, including provisions relating to exemptions from taxes and customs duties.

G. Period and effective date: this MOU is intended to be effective upon signature and to be implemented until June 28, 2013.

H. IFES Georgia' fulfillment of responsibilities of the present MOU depends on continued financial support from donor agencies such as the United States Agency for International Development. Decisions regarding that support are exclusively the donors, which have no legal obligations under this MOU.

I. Executed on June 28, 2012 in 18 originals, nine in Georgian and nine in English, each having equal legal effect. One Georgian and one English original shall remain with each signing party of the MOU. In the event of a conflict between the two documents, the English language version shall prevail.

For USAID/Caucasus

Joakim Parker, Acting Mission Director

For the Georgian Institute of Public Affairs

Giorgi Margvelashvili, Rector

For the Iakob Gogebashvili Telavi State University

Tinatin Javakhishvili, Rector

For the Akhaltsikhe State Teaching University

Tina Gelashvili, Rector

For the Akaki Tsereteli State University

George Gavtadze, Rector

For the Sokhumi State University

Joni Apakidze, Rector

For the Gori Teaching University

Giorgi Sosiashvili, Rector

For the Shota Meskhia Zugdidi State Teaching University

Zaal Kortua, Head of Administration

For the Batumi Shota Rustaveli State University

Murman Gorgoshadze, Head of Legal Science Department

In witness whereof:

For the International Foundation for Electoral Systems (IFES) Representative Office in Georgia

Nermin Nisic, Chief of Party
IFES Georgia